

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2026 წელი ქ. თბილისი

**„ტექნიკური რეგლამენტი - მაიონებელი (მაიონიზებელი) გამოსხივებით
დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ დამტკიცების
თაობაზე**

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი - მაიონებელი (მაიონიზებელი) გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების შესახებ“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2028 წლის პირველი ივლისიდან.

პრემიერ - მინისტრი

ირაკლი კობახიძე

„ტექნიკური რეგლამენტი - მაიონებელი გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების შესახებ“

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. „ტექნიკური რეგლამენტი - მაიონებელი გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ (შემდგომ - ტექნიკური რეგლამენტი) მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების დაცვას მაიონებელი გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტებთან მიმართებაში და შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

2. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მაიონებელი გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების წარმოების, ბაზარზე განთავსებისა და იმპორტის პირობებს.

3. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება:

ა) სურსათზე, რომელიც დაექვემდებარა გამზომი ან საკონტროლო მოწყობილობებით წარმოქმნილ მაიონებელ გამოსხივებას, თუ შთანთქმული დოზა არ აღემატება 0,01 Gy-ს, ნეიტრონების გამომყენებელი საკონტროლო მოწყობილობების შემთხვევაში და 0,5 Gy-ს – სხვა შემთხვევებში, ხოლო გამოსხივების მაქსიმალური ენერგია არ აღემატება 10 MeV-ს რენტგენული გამოსხივების შემთხვევაში, 14 MeV-ს – ნეიტრონების შემთხვევაში და 5 MeV-ს – სხვა შემთხვევებში;

ბ) სურსათის დასხივებაზე, როდესაც სურსათი განკუთვნილია იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ სტერილური კვება ესაჭიროებათ.

4. რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ ტექნიკური რეგლამენტისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სურსათის დასხივებით დამუშავება** - სურსათის დამუშავება მაიონებელი (მაიონიზებული) გამოსხივებით, კერძოდ, გამა-გამოსხივებით, რენტგენის სხივებით ან აჩქარებულად მოძრავი ელექტრონებით;

ბ) **დასხივებით დამუშავებული სურსათი** - სურსათი, რომელიც დამუშავებულია მაიონებელი (მაიონიზებული) გამოსხივებით და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას, რომელიც ვრცელდება იმავე კატეგორიის არადასხივებულ სურსათზე;

გ) **დოზიმეტრია** - მაიონებელი გამოსხივების დოზის, კერძოდ, ნივთიერების ან ადამიანის ქსოვილის მიერ შთანთქმული ენერგიის რაოდენობის, გაზომვის, გამოთვლისა და შეფასების მეთოდებისა და პროცედურების ერთობლიობა;

დ) **შთანთქმული დოზა** - მაიონებელი გამოსხივების მიერ ნივთიერებისთვის გადაცემული ენერგია ერთეულ მასაზე;

ე) **ზღვრული დოზა** - ტექნოლოგიური ან მარეგულირებელი მოთხოვნით განსაზღვრული მინიმალური ან მაქსიმალური შთანთქმული დოზა, რომელიც შეიძლება გამოისახოს დიაპაზონის ან ცალკეული ქვედა ან ზედა მნიშვნელობის სახით;

ვ) **დოზის ერთგვაროვნების კოეფიციენტი** - საწარმოო პარტიაში მაქსიმალური შთანთქმული დოზის (D_{max}) მინიმალურ შთანთქმულ დოზასთან (D_{min}) თანაფარდობა;

ზ) **დოზის განაწილება** - საწარმოო პარტიის მთელ მოცულობაში შთანთქმული დოზის სივრცითი ცვალებადობა, რომლის უკიდურესი მნიშვნელობებია მაქსიმალური და მინიმალური შთანთქმული დოზები;

თ) **მაიონებელი გამოსხივების წყარო** - მაიონებელი გამოსხივების გენერატორი, რადიოაქტიური წყარო ან სხვა რადიოაქტიური მასალა;

ი) **საწარმოო პარტია** - სურსათის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც დასხივების პროცესში განიხილება ერთ ერთეულად და რომლის მიმართაც შესაძლებელია დოზიმეტრიული და მიკვლევადობის მონაცემების ერთობლივად დაკავშირება;

კ) **ჰომოგენური (ერთგვაროვანი)** - მდგომარეობა, როდესაც ნივთიერების თვისებები და სტრუქტურა მთელ მოცულობაში აბსოლუტურად იდენტურია;

ლ) **მოჩვენებითი სიმკვრივე** - მასალის სიმკვრივე, რომლის გამოთვლისას მასაში გაითვალისწინება მასალის შიგნით არსებული ფორები და სიცარიელეები (განსხვავებით ნამდვილი სიმკვრივისგან, რომელიც მხოლოდ სუფთა, მყარ მასას ზომავს ყოველგვარი ჰაერის ბუშტუკების გარეშე).

მუხლი 3. ზოგადი მოთხოვნები

მიღებული უნდა იქნეს ყველა აუცილებელი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დასხივებით დამუშავებული სურსათი ბაზარზე განთავსდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები ავტორიზაციისათვის

1. სურსათის მაიონებელი (მაიონიზებელი) გამოსხივებით დამუშავების ავტორიზაციის პირობები განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით - „სურსათის მაიონებელი (მაიონიზებელი) გამოსხივებით დამუშავების ავტორიზაციის პირობები“. დამუშავების დროს აღნიშნული სურსათი უნდა იყოს სათანადოდ ვარგის (უვნებელი და ხარისხობრივად შესაბამისი) მდგომარეობაში.

2. დასხივებით დამუშავება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N2-ით - „მაიონიზებელი (მაიონებელი) გამოსხივების წყაროები“-თ განსაზღვრული წყაროების გამოყენებით და ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. საერთო შთანთქმული დოზა უნდა გამოითვალოს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N 3-ის - „დოზის გამოანგარიშება“ შესაბამისად.

3. სურსათის დასხივებით დამუშავებასთან დაკავშირებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციას „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ბირთვული და რადიაციული საქმიანობის შეტყობინებისა და ავტორიზაციის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 3 დეკემბრის №525 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე ანიჭებს სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო.

4. დასხივების ობიექტი და პროცესთან დაკავშირებული ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლისა და ინსპექტირებისათვის.

მუხლი 5. ზოგადი მოთხოვნები დასხივებით დამუშავებისადმი

1. სურსათისთვის განსაზღვრული სრული დოზა შეიძლება მიეწოდოს ნაწილობრივი დოზებით, ამასთან, ნაწილობრივი დოზების ჯამმა არ უნდა გადააჭარბოს შესაბამისი სურსათისთვის განსაზღვრულ მაქსიმალურ საერთო საშუალო შთანთქმულ რადიაციულ დოზას.

2. დასხივებით დამუშავება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმავე მიზნის მქონე ქიმიურ დამუშავებასთან კომბინაციაში.

3. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N4-ით განსაზღვრულია „სხივური დამუშავებისთვის დაშვებული სურსათი და დასხივების დასაშვები მაქსიმალური დოზები“.

მუხლი 6. მოთხოვნები ეტიკეტირებისადმი

მაიონებელი (მაიონიზებული) გამოსხივებით დამუშავებული სურსათის ეტიკეტირება უნდა განხორციელდეს ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ა) სურსათისთვის, რომელიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის ან საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის და:

ა.ა) მისი რეალიზაცია ხორციელდება ცალკეული დაფასოებული ერთეულის სახით, ეტიკეტზე, „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი-მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ (შემდგომ - „ტექნიკური რეგლამენტი-მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“) დანართი N5-ის მე-4 პუნქტის თანახმად, მითითებული უნდა იქნეს სიტყვები: „დასხივებული“ ან „დამუშავებულია მაიონიზებული (მაიონებელი) გამოსხივებით“, ან დასაშვებია დასხივების საერთაშორისო სიმბოლოს გამოყენება;

ა.ბ) მისი რეალიზაცია ხორციელდება დაუფასოებელი/ნაყარი სახით, სურსათის დასახელებასთან ერთად „ტექნიკური რეგლამენტის-მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ დანართი N5-ის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, აღნიშნული უნდა იქნეს განაცხადზე, რომელიც მოთავსებულია ასეთი სურსათის განთავსების ადგილზე;

ბ) თუ დასხივებით დამუშავებული სურსათი გამოიყენება როგორც სურსათის ინგრედიენტი:

ბ.ა) ცალკეული, დაფასოებული სურსათის ეტიკეტზე, „ინგრედიენტები“- ს ჩამონათვალში, „ტექნიკური რეგლამენტის-მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ დანართი N5 -ის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია განთავსებული უნდა იქნეს ამ ინგრედიენტის დასახელებასთან ერთად;

ბ.ბ) დაუფასოებელი სურსათის ეტიკეტზე, „ინგრედიენტები“- ს ჩამონათვალში, „ტექნიკური რეგლამენტის-მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ დანართი N5 -ის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია აღნიშნული უნდა იქნეს განაცხადზე, რომელიც მოთავსებულია ასეთი სურსათის განთავსების ადგილზე;

გ) თუ შედგენილ ინგრედიენტში გამოყენებულია დასხივებით დამუშავებული ინგრედიენტი, სურსათის ეტიკეტზე, „ინგრედიენტები“-ს ჩამონათვალში, „ტექნიკური რეგლამენტის-მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ დანართი N5-ის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია განთავსებული უნდა იქნეს მაშინაც კი, თუ შედგენილი ინგრედიენტის რაოდენობა მთლიანი, მზა სურსათის 25%-ზე ნაკლებია;

დ) სურსათისთვის, რომელიც არ არის განკუთვნილი საბოლოო მომხმარებლისათვის ან საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის:

დ.ა) თუ სურსათი არის დასხივებით დამუშავებული ან შეიცავს დასხივებით დამუშავებულ ინგრედიენტს, „ტექნიკური რეგლამენტის-მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ დანართი N5 -ის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს ეტიკეტზე ;

დ.ბ) უნდა მიეთითოს იმ ობიექტის დასახელება და მისამართი, რომელმაც განახორციელა დასხივებით დამუშავება, ან ამ ობიექტის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელსაც ანიჭებს სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო;

ე) ყველა შემთხვევაში, დამუშავების შესახებ მითითება უნდა იყოს მოცემული იმ დოკუმენტებში, რომლებიც თან ახლავს ან დაკავშირებულია დასხივებით დამუშავებულ სურსათთან.

მუხლი 7. ინდუსტრიული დამასხივებლის ოპერატორის ვალდებულებები,

1. ინდუსტრიული დამასხივებლის ოპერატორი, რომელიც სურსათის დასხივებით დამუშავებასთან დაკავშირებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციის მფლობელია, ვალდებულია, მაიონებელი გამოსხივების თითოეული გამოყენებული წყაროს მიხედვით, დასხივებით დამუშავებული სურსათის თითოეული საწარმოო პარტიის შესახებ აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერები, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) დასხივებით დამუშავებული სურსათის კატეგორია/სახეობა და რაოდენობა;

ბ) საწარმოო პარტიის ნომერი;

გ) დასხივებით დამუშავების დამკვეთი ბიზნესოპერატორი;

დ) დასხივებით დამუშავებული სურსათის მიმღები ბიზნესოპერატორი;

ე) დასხივების თარიღი;

ვ) დამუშავების დროს გამოყენებული შესაფუთი მასალები;

ზ) სურსათის ნაყარი სიმკვრივე, როდესაც ეს მონაცემი მნიშვნელოვანია პროცესის კონტროლისთვის;

თ) დანართი №3-ით გათვალისწინებული პროცესის საკონტროლო მონაცემები, ჩატარებული დოზიმეტრიული შემოწმებები და მიღებული შედეგები, მათ შორის მინიმალური და მაქსიმალური შთანთქმული დოზები;

ი) გამოყენებული დოზიმეტრიული სისტემისა და დოზიმეტრების სახეობა და მათი კალიბრაციის შესახებ მონაცემები;

კ) მაიონებელი გამოსხივების წყაროს სახეობა და პროცესის შესაბამისი ფიზიკური პარამეტრები;

ლ) გადაზიდვისა და შეფუთვის იდენტიფიცირების მონაცემები, რამდენადაც ეს აუცილებელია პარტიის მიკვლევადობისთვის.

2. ჩანაწერების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კონკრეტული პარტიის მიკვლევადობას დასხივების ობიექტამდე და იმ პირამდე, საიდანაც პროდუქტი დამუშავებისთვის იქნა მიღებული.

3. ამ მუხლით განსაზღვრული ჩანაწერები უნდა ინახებოდეს არანაკლებ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში და ხელმისაწვდომი იყოს უფლებამოსილი ორგანოებისათვის.

მუხლი 8. იმპორტის მოთხოვნები

დაუშვებელია სხვა ქვეყნიდან მაიონებელი გამოსხივებით დამუშავებული სურსათის იმპორტი თუ:

ა) სურსათი არ აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით შესაბამისი სურსათისათვის განსაზღვრულ პირობებს;

ბ) სურსათს თან არ ახლავს დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას იმ ობიექტის/ბიზნესოპერატორის დასახელების, მისამართის და ავტორიზაციის შესახებ, რომელმაც განახორციელა დასხივებით დამუშავება;

გ) სურსათს არ ახლავს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია;

დ) სურსათის მაიონებელი (მაიონიზებული) გამოსხივებით დამუშავება განხორციელდა არავტორიზებული ობიექტის/ბიზნესოპერატორის მიერ.

მუხლი 9. მოთხოვნები შესაფუთი მასალისადმი

1. დასხივებით დასამუშავებელი სურსათის შესაფუთად გამოყენებული მასალა უნდა იყოს ამ მიზნისათვის შესაფერისი.

2. კონტეინერის ზომისა და ფორმის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დასხივების ობიექტის საექსპლუატაციო მახასიათებლები, პროდუქტის ტრანსპორტირების სისტემა და მათი გავლენა დოზის განაწილებაზე.

მუხლი 10. დასხივების ობიექტისა და პროცესის კონტროლის მოთხოვნები

1. დასხივების ობიექტის დაპროექტება და ექსპლუატაცია უნდა უზრუნველყოფდეს დასხივებული და დაუსხივებელი სურსათის განცალკევებას, მათ შორის ცალკე შესანახი ზონებით ან კონტროლირებადი ერთმიმართულებიანი მოძრაობით, რათა გამოირიცხოს მათი შერევა.

2. პროცესის პროცედურების განსაზღვრისას დოკუმენტირებული უნდა იყოს:

- ა) ტექნოლოგიური მიზანი;
- ბ) მის მისაღწევად საჭირო დოზის დიაპაზონის დასაბუთება;
- გ) საცდელი/ვალიდაციური დასხივების შედეგები;
- დ) პრაქტიკულ საწარმოო პირობებში მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობა;
- ე) პროცესის ძირითადი პარამეტრები.

3. თითოეული პროდუქტისა და შესაბამისი დატვირთვის კონფიგურაციისთვის უნდა განხორციელდეს დოზის განაწილების დახასიათება, ხოლო შემდგომ პროცესის სწორად შესრულების კონტროლი უნდა განხორციელდეს რუტინული დოზიმეტრიით დანართი №3-ის შესაბამისად.

4. დოზიმეტრიული სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს დოზის რაოდენობრივ და განმეორებად გაზომვას. მისი კალიბრაცია უნდა იყოს მიკვლევადი ეროვნულ ან საერთაშორისო ეტალონებთან.

5. დასხივების პროცესის კონტროლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს წყაროს სახეობა, სიმძლავრე და გეომეტრია, პროდუქტის გადაადგილების სიჩქარე ან დასხივების ზონაში დაყოვნების დრო, პროდუქტის სიმკვრივე და დატვირთვის კონფიგურაცია, გადამტანი მოწყობილობის ზომა და ფორმა და სხვა პარამეტრები, რომლებიც გავლენას ახდენენ დოზის განაწილებაზე.

6. ობიექტზე უნდა არსებობდეს სათანადო ადმინისტრაციული და ფიზიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქტის იდენტიფიცირებას პროცესის თითოეულ ეტაპზე და გამორიცხავს დასხივებული და დაუსხივებელი სურსათის შემთხვევით შერევას.

მუხლი 11. ხელახალი დასხივება

1. გარდა დაბალი ტენიანობის მქონე სურსათისა, რომელიც დასხივებულია მწერებით ხელახალი ინვაზიის კონტროლის მიზნით, უკვე დასხივებული სურსათი ხელახლა არ უნდა დასხივდეს.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის სურსათი ხელახლა დასხივებულად არ ითვლება, როდესაც:

ა) დასხივებული სურსათი მომზადებულია ისეთი მასალებისგან, რომლებიც დაბალი დოზით დასხივდა სურსათის უვნებლობისგან განსხვავებული მიზნით, მათ შორის საკარანტილო კონტროლის ან ფესვებისა და ბოლქვების აღმოცენების პრევენციისთვის;

ბ) დასხივებულია სურსათი, რომელიც შეიცავს 5%-ზე ნაკლებ დასხივებულ ინგრედიენტს;

გ) კონკრეტული ტექნოლოგიური მიზნის მისაღწევად საჭირო სრული დოზა დამუშავების ფარგლებში სურსათს მიეწოდება ერთზე მეტი ნაწილობრივი დოზით.

3. ხელახალი დასხივება არ ცვლის ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №4-ით განსაზღვრულ ნებადართული სურსათისა და მაქსიმალური დოზის მოთხოვნებს. კუმულაციური მაქსიმალური საერთო საშუალო შთანთქმული დოზა არ უნდა აღემატებოდეს დანართი №4-ით შესაბამისი სურსათისთვის განსაზღვრულ მაქსიმალურ დოზას.

დანართი N1

სურსათის მაიონებელი (მაიონიზებული) გამოსხივებით დამუშავების ავტორიზაციის პირობები

1. სურსათის დასხივებით დამუშავება შეიძლება ავტორიზებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) არსებობს დასაბუთებული ტექნოლოგიური საჭიროება;

ბ) ის არ წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის საფრთხეს და ხორციელდება შემოთავაზებული პირობების დაცვით;

გ) სასარგებლოა მომხმარებლისათვის;

დ) მისი გამოყენება არ ხდება ჰიგიენის და სანიტარიული მოთხოვნების, ასევე „კარგი ჰიგიენის პრაქტიკის“ ან „კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ ჩანაცვლების მიზნით.

2. სურსათის დასხივებით დამუშავება შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის:

ა) სურსათისმიერი დაავადებების ინციდენტების შემცირება, პათოგენური მიკროორგანიზმების განადგურებით;

ბ) სურსათის გაფუჭების შემცირება ღვობის პროცესის შენელებით ან შეჩერებით და გაფუჭების გამომწვევი ორგანიზმების განადგურებით;

გ) სურსათის დანაკარგის შემცირება ნაადრევი დამწიფების, აღმოცენების ან გაღივების შემცირებით;

დ) სურსათიდან მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტებისათვის მავნე ორგანიზმების მოცილება.

დანართი №2

სურსათის დასამუშავებლად დასაშვები მაიონებელი გამოსხივება

სურსათის დამუშავებისათვის დასაშვებია მხოლოდ შემდეგი მაიონებელი გამოსხივების გამოყენება:

ა) ^{60}Co ან ^{137}Cs რადიონუკლიდის შემცველი რადიოაქტიური წყაროს მიერ წარმოქმნილი გამა-გამოსხივება;

ბ) მაიონებელი გამოსხივების გენერატორით წარმოქმნილი რენტგენული გამოსხივება, რომლის ნომინალური ენერგია არ აღემატება 5 MeV-ს;

გ) მაიონებელი გამოსხივების გენერატორით წარმოქმნილი ელექტრონები, რომელთა ნომინალური ენერგია არ აღემატება 10 MeV-ს.

დანართი N3

დოზის გამოანგარიშება

1. დოზიმეტრია

საერთო საშუალო შთანთქმული დოზა

1. სურსათის 10 kGy ან ნაკლები საერთო საშუალო დოზით დამუშავების შემთხვევაში, მისი უვნებლობის შეფასების მიზნებისათვის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ დოზის დიაპაზონში მაიონებელი გამოსხივებით გამოწვეული რადიაციულ-ქიმიური ეფექტები დოზის პროპორციულად იცვლება

2. საერთო საშუალო დოზა ($\bar{D}$) განისაზღვრება პროდუქტის სრული მოცულობის მიმართ შემდეგი ინტეგრალური გამოსახულებით:

$$\bar{D} = \frac{1}{M} \int p(x, y, z) d(x, y, z) dV$$

სადაც:

M - დამუშავებული ნიმუშის საერთო მასა;

p - ლოკალური სიმკვრივე წერტილებში (x, y, z);

d - ლოკალური შთანთქმული დოზა წერტილებში (x, y, z);

dV - მოცულობის უსასრულოდ მცირე ელემენტი (dx·dy·dz), რომელიც პრაქტიკაში წარმოდგენილია მოცულობითი ფრაქციებით.

ერთგვაროვანი პროდუქტებისთვის ან ისეთი ნაყარი პროდუქტებისთვის, რომელთა მოჩვენებითი სიმკვრივე ერთგვაროვანია, საერთო საშუალო შთანთქმული დოზა შეიძლება განისაზღვროს პროდუქტის მთელ მოცულობაში საკმარისი რაოდენობის დოზიმეტრების წინასწარ შერჩეულ და შემთხვევით პოზიციებზე განთავსებით. ამ გაზომვებით მიღებული დოზის განაწილებიდან გამოითვლება საშუალო მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენს საერთო საშუალო შთანთქმულ დოზას.

თუ ცნობილია პროდუქტში დოზის განაწილების ფორმა და დადგენილია მინიმალური და მაქსიმალური დოზების ადგილები, პროდუქტის რამდენიმე ნიმუშში ამ ადგილებზე ჩატარებული დოზის გაზომვების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთო საშუალო დოზის შესაფასებლად

ზოგიერთ შემთხვევაში, მინიმალური დოზის ($\bar{D}_{min}$) და მაქსიმალური დოზის ($\bar{D}_{max}$) საშუალო მნიშვნელობების საშუალო სიდიდე წარმოადგენს საერთო დოზის კარგ შეფასებას, ანუ ასეთ შემთხვევებში:

$$\text{საერთო საშუალო დოზა} \approx \frac{\bar{D}_{max} + \bar{D}_{min}}{2}$$

თანაფარდობა $\frac{\bar{D}_{max}}{\bar{D}_{min}}$ არ უნდა აღემატებოდეს 3-ს.

2. პროცედურები

2.1. დასხივების ობიექტში კონკრეტული კატეგორიის სურსათის რუტინული დასხივების დაწყებამდე პროდუქტის მთელ მოცულობაში დოზის გაზომვით უნდა განისაზღვროს მინიმალური და მაქსიმალური დოზების მდებარეობა. ეს ვალიდაციური

გაზომვები უნდა ჩატარდეს სათანადო რაოდენობით (მაგალითად, 3–5-ჯერ), რათა გათვალისწინებულ იქნეს პროდუქტის სიმკვრივისა და გეომეტრიის ცვალებადობა.

2.2. ყოველი ცვლილების დროს, როდესაც იცვლება პროდუქტი, მისი გეომეტრია, შეფუთვა, დატვირთვის კონფიგურაცია ან დასხივების პირობები და ამ ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს დოზის განაწილებაზე, გაზომვები უნდა ჩატარდეს განმეორებით.

2.3. დოზის ზღვრების დაცვის ვერიფიკაციის მიზნით, დასხივების პროცესის განმავლობაში უნდა ჩატარდეს დოზის რუტინული გაზომვები. გაზომვებისას დოზიმეტრები უნდა განთავსდეს მაქსიმალური ან მინიმალური დოზის წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე ან რეფერენტულ პოზიციაზე. რეფერენტული პოზიცია არის პროდუქტში ან მის ზედაპირზე წინასწარ შერჩეული ადგილი, სადაც დოზის ცვალებადობა მცირეა; ამ პოზიციაზე გაზომილი დოზა რაოდენობრივად უნდა იყოს დაკავშირებული პროდუქტში განსაზღვრულ მაქსიმალურ და მინიმალურ დოზებთან.

2.4. დოზის რუტინული გაზომვები უნდა ჩატარდეს თითოეულ პარტიაზე და წარმოების პროცესში რეგულარული დროითი ინტერვალებით.

2.5. ნაკადური, დაუფასოებელი პროდუქტის დასხივებისას მინიმალური და მაქსიმალური დოზების მდებარეობის განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში დოზის უკიდურესი მნიშვნელობების დასადგენად მიზანშეწონილია დოზიმეტრების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოყენება.

2.6. დოზის გაზომვები უნდა განხორციელდეს აღიარებული დოზიმეტრიული სისტემებით. დოზიმეტრიული სისტემის კალიბრაცია და გაზომვის შედეგები მიკვლევადი უნდა იყოს ეროვნულ ან საერთაშორისო პირველად ეტალონებთან.

2.7. დასხივების დროს უნდა კონტროლდებოდეს და უწყვეტად აღირიცხებოდეს ობიექტის შესაბამისი პარამეტრები. რადიონუკლიდური დასხივების ობიექტებისათვის ეს პარამეტრები მოიცავს პროდუქტის გადაადგილების სიჩქარეს ან დასხივების ზონაში ყოფნის დროს და წყაროს სწორ პოზიციაში ყოფნის დადებით ინდიკაციას. ამაჩქარებლით აღჭურვილი დასხივების ობიექტებისათვის პარამეტრები მოიცავს პროდუქტის გადაადგილების სიჩქარეს, ენერგიის დონეს, ელექტრონულ დენსა და სკანირების სიგანეს.

2.8. დოზის განაწილების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს წყაროს ტიპი, სიმძლავრე და გეომეტრია, პროდუქტის სიმკვრივე და დატვირთვის კონფიგურაცია, აგრეთვე კონტეინერის ან გადამტანი მოწყობილობის ზომა და ფორმა.

სხივური დამუშავებისთვის დაშვებული სურსათი და დასხივების დასაშვები
მაქსიმალური დოზები

სურსათის კატეგორია	მაქსიმალური საერთო საშუალო შთანთქმული გამოსხივების დოზა (კილოგრეი)
მშრალი (გამომშრალი) არომატული მცენარეები და ბოსტნეულის სუნელ- სანელებლები	10

განმარტებითი ბარათი

„ტექნიკური რეგლამენტი - მაიონებელი (მაიონიზებელი) გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი შემუშავებულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის 1999 წლის 22 თებერვლის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1999/2/EC დირექტივა „მაიონიზებელი გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და საკვები ინგრედიენტების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის დაახლოების თაობაზე“ და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 22 თებერვლის 1999/3/EC დირექტივა „მაიონიზებელი გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და საკვები ინგრედიენტების ერთიანი სიის დადგენის თაობაზე“. გამოყენებულია 1999/2/EC დირექტივის 27.11.2024 წლის და 1999/3/EC დირექტივის 13.3.1999 წლის კონსოლიდირებული ვერსიები.

პროექტი მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების დაცვას მაიონებელი (მაიონიზებელი) გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტებთან მიმართებაში, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას და ადგენს მაიონებელი (მაიონიზებელი) გამოსხივებით

დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციისა და იმპორტის პირობებს.

პროექტში მოცემულია ტერმინთა განმარტებები, ზოგადი მოთხოვნები ავტორიზაციისათვის და სურსათის მაიონებელი (მაიონიზებული) გამოსხივებით დამუშავების ავტორიზაციისათვის შესასრულებელი პირობები, ასევე ის წყაროები, რომელიც დაშვებულია მაიონიზებული (მაიონებელი) გამოსხივებისათვის.

პროექტი განსაზღვრავს ზოგად მოთხოვნებს დასხივებისადმი, რომლის თანახმად, დასხივება შეიძლება განხორციელდეს ნაწილობრივი, ეტაპობრივი დასხივებით, მაგრამ ამ შემთხვევაში საბოლოო დასხივების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ მაქსიმალურ დოზას. გარდა ამისა, დაუშვებელია სურსათის რადიაციული დამუშავების გამოყენება იმ ქიმიურ დამუშავებასთან ერთად, რომელსაც იგივე მიზანი აქვს (მაგ. მიკრობების განადგურება, შენახვის ვადის გახანგრძლივება).

განსაზღვრულია ასევე სხივური დამუშავებისთვის დაშვებული სურსათი და დასხივების დასაშვები მაქსიმალური დოზები.

პროექტით დგინდება დამატებითი მოთხოვნები მაიონებელი (მაიონიზებული) გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების ეტიკეტირებისადმი და ამ სურსათის რეალიზაციის პირობები. ასევე, განსაზღვრულია

ბიზნესოპერატორის ვალდებულებები და იმპორტის პირობები. პროექტში მოცემულია სამი დანართი. დანართი N1 ადგენს სურსათის მაიონებელი (მაიონიზებული) გამოსხივებით დამუშავების ავტორიზაციის პირობებს, დანართი N2

მაიონიზებული (მაიონებელი) გამოსხივების წყაროებს, დანართი N3 - დოზის გამომანგარიშებას, რომელიც მოიცავს დოზიმეტრიასა და პროცედურებს, დანართი N4,

რომლითაც განსაზღვრულია სხივური დამუშავებისთვის დაშვებული სურსათი და დასხივების დასაშვები მაქსიმალური დოზები და არეგულირებს სურსათის კატეგორიას [(მშრალი (გამომშრალი) არომატული მცენარეები და ბოსტნეულის სუნელ-სანელებლები)] და მაქსიმალური საერთო საშუალო შთანთქმული გამოსხივების დოზას(კილოგრეი), რომელიც უნდა შეადგენდეს 10 კოლოგრეის.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებისას გამოყენებულია ევროკავშირის სამართლებრივი აქტები - 1999 წლის 22 თებერვლის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1999/2/EC დირექტივა „მაიონიზებული გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და საკვები ინგრედიენტების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის დაახლოების

თაობაზე“ და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 22 თებერვლის 1999/3/EC დირექტივა „მაიონიზებული გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და საკვები ინგრედიენტების ერთიანი სიის დადგენის თაობაზე“. გამოყენებულია 1999/2/EC დირექტივის 27.11.2024 წლის და 1999/3/EC დირექტივის 13.3.1999 წლის კონსოლიდირებული ვერსიები.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას, გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და სახელმწიფოსთვის არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას მაიონიზებული გამოსხივებით დამუშავებულ სურსათსა და სურსათის ინგრედიენტებთან მიმართებით, აგრეთვე დასხივების პროცესის ტექნიკური კონტროლის, მიკვლევადობისა და შესაბამისი ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტის ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2028 წლის 1 ივლისი.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.